



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

1922 წლიდან

ლიანა ქვარცხავა

თერმოელექტროდრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო-საკონტაქტო
ამოცანების მათემატიკური მოდელირება ფილებისათვის

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა მშენებლობა

შიფრი 0732

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2022წ

საავტორო უფლება©2022 წელი დოქტორანტის ლიანა ქვარცხავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: სამშენებლო

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ლიანა ქვარცხავას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **თერმოელექტროდრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების მათემატიკური მოდელირება ფილებისათვის და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.**

-----, ----- 2022წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

პროფესორი დავით გორგიძე

პროფესორი თამაზ ბაციკაძე

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წ

ავტორი: ლიანა ქვარცავა

დასახელება: თერმოელექტროდრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების მათემატიკური მოდელირება ფილებისათვის

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია :

მშენებლობის ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი

სხდომა ჩატარდა: _____

ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი I, აუდიტორია 508

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის დაარც მისიცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

შენობებისა და ნაგებობების მონიტორინგისთვის საზომი მოწყობილობები (გადამწოდებები) აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო ობიექტებზე, როგორც მშენებლობის ეტაპზე, ასევე მათი ექსპლუატაციის დროს.

შენობების მშენებლობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ტექნიკური საფუძველია კონტროლისა და დიაგნოსტიკის საშუალებების დანერგვა. შესრულებული სამეცნიერო კვლევების და ტექნიკური გადაწყვეტილებების დონის შეფასება გვარწმუნებს, რომ დღევანდელ დღეს ახალი თაობის გამზომი სისტემები სამშენებლო ნაგებობების და კონსტრუქციების მრავალფუნქციური კონტროლის საიმედო ორგანიზების საშუალებას იძლევა.

კონსტრუქციების კვლევისთვის და მოწყობილობებში სტატიკური და სტაციონალური დაძაბული-დეფორმირებული მდგომარეობის შესასწავლად ფართოდ გამოიყენება წრფივი დრეკადი და თერმოელექტროდრეკადი სასრული ზომის სხეულის მოდელი.

თერმოელექტრულად აქტიური მასალა თანამედროვე პიეზოტექნიკის საფუძველს წარმოადგენს და სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება მიკრო და ნანოტექნოლოგიებში.

ამ მასალის სამრეწველო გამოყენება მოიცავს სხვადასხვა ტიპის პიეზოელექტრულ, პიროელექტრულ და სხვა სახის გადამწოდებებს როგორცაა ჰიდროაკუსტიკა, დონის კონტროლი, მოძრაობის პარამეტრები, შენობების დაცვა, მშენებლობის კონტროლი და ა.შ.

პიეზოელექტრული მოწყობილობების ფუნქციონირება, ასევე მათი კონსტრუირება წარმოშობს ამ მასალებისათვის თერმოელექტროდრეკადობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრის ამოცანას.

პიეზოელემენტების პრაქტიკული გამოყენების საკითხები მრავალნაირად იყო გამოკვლეული და ძირითადად პიეზოელექტრიკებში პროცესების გამოსაკვლევად გამარტივებულ მიდგომებს ეყრდნობოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თეორიული კვლევისა და შესწავლის პროცესში გამოჩნდა მჭიდრო კავშირი გამოყენებითი ინჟინრული ამოცანების ამოხსნასთან.

ვითარდებოდა მათემატიკური მეთოდებიც პიეზოელემენტში პროცესების ანალიზისთვის, რომელიც დაფუძნებულია თერმოელექტროდრეკადობის თეორიის ძირითად დებულებებზე. დამუშავდა პიეზოელექტრული მასალისაგან დამზადებული ფირფიტების და გარსების ტექნიკური თეორიის სხვადასხვა ვარიანტები.

ამ მიმართულებით არსებული ეფექტური კვლევები შესაძლებელია არსებითად გაუმჯობესდეს დრეკადობის და თერმოელექტროდრეკადობის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანების ამოხსნების ახალი მეთოდების დამუშავების, და მათემატიკური მოდელირების ახალი თანამედროვე მეთოდების გამოყენების შედეგად, ასევე ახალი პროგრამული კომპლექტების შექმნა და მათი დახმარებით რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება, რომელიც ცვლის ძვირადღირებულ ნატურალურ ექსპერიმენტებს.

სასრული სხულებისათვის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნის მეთოდებს შორის სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების კლასიკურმა მეთოდმა და მასზე დაფუძნებულმა სასაზღვრო ელემენტების მეთოდის გამოყენებამ, კარგად გაართვა თავი დრეკადობის თეორიაში იზოტროპიული სხეულებისათვის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნისას. თუმცა უფრო რთული გარემოსათვის ფუნდამენტური ამოხსნების მიღება გარკვეულ სიმძნელებს აწყდება. ამიტომ ამის გადასაღახავად საჭიროა ახალი, ალტერნატიული მეთოდების დამუშავება.

ამის გამო ასეთი კლასის ამოცანებისათვის ახალი მათემატიკური მოდელის აგება, მათი კვლევა წარმოადგენს საკმაოდ თანამედროვე და მნიშვნელოვან აქტუალურ ამოცანას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დრეკადი ტრანსვერსლური იზოტროპული ერთგვაროვანი ფილებისათვის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანებისათვის ანალიზური ამონახსნების მიღება. ამომხსნელი განტოლებების მიღება და ანალიზი. ფილის დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მათემატიკური მოდელის აგება და მისი მთლიანი კვლევა. მათემატიკურ მოდელი არის კერძოწარმოებლიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, რომელიც

შესაბამისი სასაზღვრო და საკონტაქტო პირობებთან ერთად აღწერს სივრცითი ფილის თერმოელექტროდრეკად წონასწორობას. კერძოდ:

- მოხდა ფილის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მათემატიკური მოდელირება;
- ჩატარდა მიღებული რეგულარული განტოლებების ანალიზი;
- მიღებულია დეკარტის მართკუთხა და ცილინდრულ კოორდინატთა სისტემაში სივრცითი ამოცანების ზუსტი ამონახსნები;
- მიღებულია ერთგვაროვანი გეგმაში მართკუთხა ფილისათვის რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმი.

Abstract

The technical basis for the construction and operation of buildings construction and operation is the introduction of control and diagraphetics. Assessment of the level of scientific research and technical solutions performed by the fact that today the new generation of measuring systems provide reliable organization of the multifunctional concrete organizations and constructs.

Linear elongated and thermal power finite-sized body model is widely used to study the static and stationary tense and stationary conditions for the study of structures and devices.

One of the most important areas in its technical use is the creation and use of thermoelectric active materials.

Thermoelectric active material is the basis of modern piezotechnics and is increasingly used in micro and nanotechnologies.

Industrial use of this material, which includes different types of piezoelectric, pyroelectric and other types of transmitters such as hydraulic, level control, movement parameters, building protection, construction control, etc. etc.

The functioning of piezoelectric devices as well as their constructing the task of determining the tense-deformed state of thermoelectroding for these materials.

The issues of practical use of piezoelements have been investigated in many ways and mainly based on simplified approaches to the processes in piezoelectric. It should be noted, however, that in the theoretical research and study, a close connection with the solution of applied engineering tasks has appeared. Mathematical methods were also developed for analysis of piezoelement processes based on the basic provisions of thermoelectroding theory. Various options for plates and technical theory of piezoelectric material have been developed.

Effective studies in this area can be substantially improved by the processing of new methods of elongation and thermal -electroding tasks, and the use of new modern methods of mathematical modeling, as well as new software kits and with their help to replace expensive natural experiments.

The classical method of solving the border integral equations between the methods of direct and inverted tasks for the finite bodies, and the use of the border elements based on the border elements, has been well -versed in the theory of elongation theory when solving border tasks for isotropic bodies. However, for a more complex environment, fundamental solutions faces some difficulties. Therefore, new, alternative methods are needed to overcome this.

Bécasse of This, building a new mathematical model for such class tasks, their research is a very modern and important topical task that has been paid to the World Scientifique Library.

The purpose of the work is to obtain analytical solutions for borderline and contact tasks for uniform transverse isotro-linen tiles. Getting and analyzing the redeeming equations. Build a mathematical model of a tense-deformed state and its entire research. The mathematical model is a system of private -producing differential equations that, along with the appropriate border and contact conditions, describes the thermoelo -elastic equilibrium of spatial slab. Specifically:

- Mathematical modeling of the tense-deformed condition of the slab;

- Analysis of regular equations received;
- Accurate solutions to spatial tasks in the Descartes rectangular and cylindrical coordinate system;
- A numeric realization algorithm for a rectangular slab is adopted in a homogeneous plan.

შინაარსი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება	9
თავი 1. მრუდწირულ კოორდინატთა სისტემაში პიეზოელემენტებისათვის ბაზური მათემატიკური მოდელის აგება	17
1.1. ზოგადი მიმოხილვა	17
თავი 2. თერმოელექტროდრეკადობის მათემატიკური მოდელი დეკარტის მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში	33
2.1. სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ფილისათვის	33
2.2. ფილის ელექტროდრეკადი წონასწორობა	52
2.3. ელექტროდრეკადი წონასწორობა გეგმაში მართკუთხა ფილისათვის	60
თავი 3. თერმოელექტროდრეკადობის მათემატიკური მოდელი ცილინდრული ფილისათვის	74
3.1. ძირითადი განტოლებები, სასაზღვრო პირობები ცილინდრულ კოორდინატთა სისტემაში	74
3.2. ელექტროდრეკადობის თეორიის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ცილინდრული ფილისათვის	90
3.3. ღერძსიმეტრიული ამოცანა ფილისათვის	94
3.4. ფილისათვის ელემენტარულ ფუნქციებში ამოხსნადი სასაზღვრო ამოცანების კლასი	98
დასკვნა	101
ლიტერატურა	102

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია ფილები, ხოლო საგანი – ფილების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მათემატიკური მოდელირება.

თემის აქტუალობა. შენობებისა და ნაგებობების მონიტორინგი საზომი მოწყობილობების (გადამწოდებები) აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო ობიექტების როგორც მშენებლობის ეტაპზე, ასევე მათი ექსპლუატაციის დროს.

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით საინჟინრო კონსტრუქციების (მზიდი) მონიტორინგის სისტემებით სავალდებულო წესით აღიჭურვება უნიკალური ნაგებობები და შენობები, ისეთი, რომლებსაც აქვთ 100 მ-ზე მეტი სიმაღლე, ან 100 მ-ზე მეტი სიგრძის მალი, ასევე 20 მ-ზე მეტი სიგრძის კონსოლი ან შენობის მიწისქვეშა ნაწილი, რომლის ქვაბულის სიღრმე 15 მ-ზე მეტია.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი შენობებისა და ნაგებობების მონიტორინგის აუცილებლობა განსაზღვრულია მხოლოდ უნიკალური ნაგებობებისთვის, ასეთი სისტემებით ჩვეულებრივი ნაგებობების აღჭურვაც მიზანშეწონილია.

ამგვარად, შენობების მშენებლობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნიკური საფუძველია კონტროლისა და დიაგნოსტიკის საშუალებების დანერგვა. შესრულებული სამეცნიერო კვლევების და ტექნიკური გადაწყვეტილებების დონის შეფასება გვარწმუნებს, რომ დღევანდელ დღეს ახალი თაობის გამზომი სისტემები სამშენებლო ნაგებობების და კონსტრუქციების მრავალფუნქციური კონტროლის საიმედო ორგანიზების საშუალებას იძლევა.

კონტროლის მაღალი სიზუსტის მისაღწევად, სხვა გადამწოდებებისაგან ყველაზე მეტად, ეფექტურობით გამოირჩევა პიეზოკერამიკული გადამწოდებები.

კონსტრუქციების კვლევისთვის და მოწყობილობებში სტატიკური და სტაციონალური დაძაბული-დეფორმირებული მდგომარეობის შესასწავლად ფართოდ გამოიყენება წრფივი დრეკადი და თერმოელექტროდრეკადი სასრული ზომის სხეულის მოდელი.

მასლათამცოდნეობაში და მის ტექნიკურ გამოყენებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებას წარმოადგენს თერმოელექტრულად აქტიური მასალების შექმნა და გამოყენება.

თერმოელექტრულად აქტიური მასალა თანამედროვე პიეზოტექნიკის საფუძველს წარმოადგენს და სულ უფრო და უფრო გამოიყენება მიკრო და ნანოტექნოლოგიებში.

ამ მასალის სამრეწველო გამოყენება მოიცავს სხვადასხვა ტიპის პიეზოელექტრულ, პიროელექტრულ და სხვა სახის გადამწოდებებს როგორცაა ჰიდროაკუსტიკა, დონის კონტროლი, მოძრაობის პარამეტრები, შენობების დაცვა, მშენებლობის კონტროლი და ა.შ.

პიეზოელემენტების პრაქტიკული გამოყენების საკითხები მრავალნაირად იყო გამოკვლეული. პიეზოელექტრიკებში პროცესების თეორიული კვლევისა და შესწავლის პროცესში გამოჩნდა მჭიდრო კავშირი გამოყენებითი ინჟინრული ამოცანების ამოხსნასთან. პიეზოელექტრული მასალისაგან დამზადებული ფირფიტების და გარსების ტექნიკური თეორიისათვის დამუშავდა სხვადასხვა ვარიანტები. აგრეთვე პიეზოელემენტში პროცესების ანალიზისთვის გამოიყენება სხვადასხვა მათემატიკური მოდელები. პიეზოელექტრული მოწყობილობების ფუნქციონირება, ასევე მათი კონსტრუირება წარმოშობს ამ მასალებისათვის თერმოელექტროდრეკადობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ამოცანებს.

ამ მიმართულებით არსებული ეფექტური კვლევები შესაძლებელია არსებითად გაუმჯობესდეს დრეკადობის და თერმოელექტროდრეკადობის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანების ამოხსნების ახალი მეთოდების დამუშავების, და მათემატიკური მოდელების ახალი თანამედროვე მეთოდების გამოყენების შედეგად, ასევე ახალი პროგრამული კომპლექტების შექმნა და მათი დახმარებით რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება, რომელიც ცვლის ძვირადღირებულ ნატურალურ ექსპერიმენტებს.

სასრული სხულებისათვის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნის მეთოდებს შორის სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების კლასიკურმა მეთოდმა და მასზე დაფუძნებულმა სასაზღვრო ელემენტების მეთოდის გამოყენებამ, კარგად გაართვა თავი დრეკადობის თეორიაში

იზოტროპიული სხეულებისათვის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნისას. თუმცა უფრო რთული გარემოსათვის ფუნდამენტალური ამოხსნების მიღება გარკვეულ სიძნელეებს აწყდება. ამიტომ ამ სიძნელეების გადასაღახავად საჭიროა ახალი, ალტერნატიული მეთოდების დამუშავება და წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. რეალური კონსტრუქციებისთვის სასაზღვრო ინტეგრალურ მეთოდთან ერთად გამოიყენება სასრულ ელემენტთა მეთოდი. ამჟამად უცხოეთში არსებობს მთელი რიგი ასეთი სასრული ელემენტების კომპლექსები, მაგრამ მათი სრული ლიცენზირებული ვერსია იმდენად ძვირია, რომ პრაქტიკულად მიუწვდომელია რიგითი მკვლევარებისათვის.

ამის გამო ასეთი კლასის ამოცანებისათვის ახალი მათემატიკური მოდელის აგება, მათი კვლევა წარმოადგენს საკმაოდ თანამედროვე და მნიშვნელოვან აქტუალურ ამოცანას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამ მოსაზრებებმა განსაზღვრა სადისერტაციო თემის აქტუალობა და წინამდებარე ნაშრომშიც განხილულია შესაბამისი ამოცანები.

ნაშრომის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დრეკადი პიეზოკერამიკული (ტრანსვერსლური იზოტროპული) ერთგვაროვანი ფილებისათვის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანებისათვის ანალიზური ამონახსნების მიღება. ამომხსნელი განტოლებების მიღება და ანალიზი. ფილის დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მათემატიკური მოდელის აგება და მისი მთლიანი კვლევა. მათემატიკურ მოდელი არის კერძოწარმოებლიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, რომელიც შესაბამისი სასაზღვრო და საკონტაქტო პირობებთან ერთად აღწერს სივრცითი ფილის თერმოელექტროდრეკად წონასწორობას.

სამეცნიერო სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს:

- ფილის დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მათემატიკური მოდელირება;
- მიღებულია რეგულარული განტოლებები;
- დეკარტის მართკუთხა და ცილინდრულ კოორდინატთა სისტემაში სივრცითი ამოცანების ზუსტი ამოხსნა;

- ერთგვაროვანი გეგმაში მართკუთხა ფილისათვის რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმი.

კვლევის მეთოდები დაფუძნებულია ნ. ხომასურიძის იდეებზე და ფურის მეთოდის გამოყენებაზე დრეკადობის თეორიის, თერმოდრეკადობის და ელექტროდრეკადობის თეორიის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანებისთვის.

სანდოობა. სადისერატაციო ნაშრომი დაფუძნებულია დრეკადობის თეორიის, თერმოდრეკადობის და ელექტროდრეკადობის მკაცრ მათემატიკურ აპარატს; საკვლევი სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანების კორექტულ დაყვანას მოდიფიცირებულ ამოცანებზე.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს დრეკადობის თეორიის და თერმოელექტროდრეკადობის თეორიის ახალი მათემატიკური მოდელების აგებაში და ანალიზური ამონახსნების მიღებაში. სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების ამოხსნის ალგორითმის დამუშავება და რიცხვითი რეალიზაცია.

დაცვაზე გასატანი ძირითადი დებულებები:

- 1) თერმოელექტროდრეკადობის თეორიის ძირითადი კლასიკური განტოლებების დაყვანა მოდიფიცირებული განტოლებებზე;
- 2) კლასიკური და მოდიფიცირებული სასაზღვრო პირობების ტოლფასობა;
- 3) სასაზღვრო ამოცანების ანალიზური ამონახსნების აგება;
- 4) რიცხვითი რეალიზაციისათვის ალგორითმის დამუშავება;

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი შედეგები განხილული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სემინარებზე და საერთაშორისო სიმპოზიუმზე. კერძოდ,

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გამოყენებითი ფიზიკის აქტუალური საკითხები. საქართველო, თბილისი, 30 მარტი, 2011.

Д.А.Горгидзе, Л.Г.Кварцхава. Об одной задаче электроупругости для пьезокерамической толстой плиты.

2. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეორე ყოველწლიური კონფერენცია. საქართველო, თბილისი, 15-17 დეკემბერი, 2011; 16 იანვარი, 2012.

ზ.სირაძე, დ.გორგიძე, ლ.ქვარცხავა. ელექტროდრეკადობის თეორიის ღერძიმიტრიული ამოცანა ცილინდრისათვის.

3. სტუდენტთა 84-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო, თბილისი, 6 ივნისი-25 ივნისი, 2016.

ლ.ქვარცხავა. სასაზღვრო ამოცანა ელექტროდით დაფარული სასრული ცილინდრული სხეულისათვის.

4. სტუდენტთა 85-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო, თბილისი, 12 ივნისი-1 ივლისი, 2017.

ლ.ქვარცხავა. ცილინდრული პანელის ელექტროდრეკადი წონასწორობა.

გამოქვეყნებული შრომები. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 5 ნაშრომი.

1. დ.გორგიძე, ლ. ქვარცხავა. *ტრანსვერსალურად-იზოტროპული წრიული სქელი ფილის ღუნვის ამოცანა თერმული ველის გათვალისწინებით.* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. გამოყენებითი მექანიკა, შრომათა კრებული, თბილისი, 2010, გვ.106-111;
2. Gorgidze D., Siradze Z., Ramishvili I., Qvarckhava L. *Thermo-electroelasticity Equilibrium Transropic Bodies in a Spherical Coordinate Sistem.* Nova Publishers, 2013, pp.165-176 ;
3. დ. გორგიძე, ლ. ქვარცხავა, ნ. გულუა. *ცილინდრული პანელის ელექტროდრეკადიწონასწორობა.* Georgian Engineering News,2017,v.83,№3.;
4. Л. Кварцхава. *Осесимметричное электроупругое равновесие цилиндрического тела.* Georgian Engineering News,№2, 2020. გვ. 12-14.

სამუშაოს სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლისა და 3 თავისაგან, შეიცავს 108 ნაბეჭდ გვერდს, 16 ნახაზს, 8 ცხრილს. ლიტერატურის ჩამონათვალი შეიცავს 81 დასახელებას.

დისერტაციის შესავალში წარმოდგენილია ნაშრომის მიზანი, დასაბუთებულია განსახილველი ამოცანების აქტუალობა, მოცემულია ნაშრომის სტრუქტურა და ძირითადი ნაწილების მოკლე შინაარსი.

განვიხილოთ სადისერტაციო ნაშრომი თავების მიხედვით.

პირველ თავის პირველ პარაგრაფში მოცემულია იმ ნაშრომთა კრიტიკული ანალიზი, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული დისერტაციაში განხილულ

საკითხებთან. ამავე თავის მეორე პარაგრაფში მრუდწირულ კოორდინატთა სისტემაში განხილულია ფილის თერმოელექტროდრეკადი წონასწორობა. დრეკადი სხეული არის ტრანსვერსალურად იზოტროპული (ტრანსტროპული სიმეტრიის სიბრტყედ მიღებულია $z = const$ სიბრტყეები). ფილის პარალელეპიპედის ზედა და ქვედა ფუძეებზე ($z = 0$ და $z = z_1$ სიბრტყეებზე) ტემპერატურული და ელექტრული ველთან ერთად მოცემულია ძაბვები ან გადაადგილებები, ან მათი კომბინაცია. ფილის გვერდით ($\rho = \rho_0, \rho = \rho_1, \alpha = \alpha_0, \alpha = \alpha_1$) ზედაპირებზე კი მოცემულია სიმეტრიული ან ანტისიმეტრიული გაგრძელების პირობები. ფენოვანი ფილებისათვის ფენებს შორის კონტაქტი ხდება $z = const$ სიბრტყეების გასწვრივ. ასევე, შესაძლებელია განხილული იყოს შემთხვევა, როდესაც ფილის ($\rho = \rho_0, \rho = \rho_1$) ზედაპირებზე ტემპერატურული და ელექტრული ველთან ერთად მოცემულია ძაბვები, ან გადაადგილებები, ან მათი კომბინაცია. გვერდით ზედაპირებზე კი მოცემულია მესამე ან მეოთხე სასაზღვრო ამოცანის შესაბამისი ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობები. ამ შემთხვევაში, მრავალფენიანი ფილისათვის კონტაქტი ხდება $\rho = const$ ზედაპირების გასწვრივ. თვითოეული ფენა შესაძლებელია იყოს როგორც ტრანსტროპული, ასევე

იზოტროპული.
$$K = c_1 \left[\frac{\partial(Hu)}{\partial\rho} + \frac{\partial(Hv)}{\partial\alpha} \right] + c_3 \frac{\partial w}{\partial z} + e_1 \frac{\partial\phi}{\partial z} - \beta_{10}T, \quad B = c_5 \frac{1}{H^2} \left[\frac{\partial(Hv)}{\partial\rho} - \frac{\partial(Hu)}{\partial\alpha} \right]$$
 ფუნქციების საშუალებით წონასწორობის განტოლებათა სისტემიდან

მიიღება მოდიფიცირებული სისტემა, რომელიც ფიზიკურ განტოლებებთან ერთად ქმნის თერმოელექტროდრეკადი ველის განმსაზღვრელ განტოლებათა სისტემას.

თერმოელექტროდრეკადი ველის ყველა კომპონენტი გამოსახულია u, v, w, ϕ, T, K, B ფუნქციების საშუალებით.

მეორე თავი მთლიანად ეძღვნება გეგმაში მართკუთხა ფილის თერმოელექტროდრეკად წონასწორობას. პირველ პარაგრაფში მიღებულია ძირითადი განტოლებები, განსაზღვრულია სასაზღვრო - საკონტაქტო ამოცანების ის კლასი, რომელსაც შევისწავლით ამ თავში. მიღებულია ზოგადი ამონახსნები დეკარტის კოორდინატთა სისტემაში. ჩამოყალიბებულია რეგულარული ამოხსნის განსაზღვრება. მეორე

პარაგრაფში ამოხსნილია სასაზღვრო ამოცანა მართკუთხა ფილისათვის, ხოლო მესამე პარაგრაფში განხილულია ელექტროდრეკადი წონასწორობა მართკუთხა ფილისათვის.

მესამე თავში წრიულ ცილინდრულ კოორდინატთა სისტემაში

$r, \alpha, z (0 \leq r < \infty, 0 < \alpha < 2\pi, -\infty < z < \infty)$ განიხილება ცილინდრული ფილის თერმoeლექტროდრეკადი წონასწორობა. უფრო ზუსტად, აღნიშნული თერმoeლექტროდრეკადობის წონასწორობის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები ყალიბდება როგორც თერმoeლექტროდრეკადობის უჩვეულო (არაორდინარული) ამოცანების მათემატიკური მოდელი. უჩვეულობა გამოწვეულია არის, ფილის მასალის და სასაზღვრო თუ საკონტაქტო პირობების უჩვეულობით, რადგან გადაადგილების ვექტორის განსაზღვრის არე შეიძლება იყოს მთლიანი ცილინდრული ფილა (ხშირად ამბობენ ცილინდრული სარტყელი) $\Omega = (r_0 < r < r_1, 0 \leq \alpha < 2\pi, 0 < z < z_1)$,

ცილინდრული ფილა ჭრილით $\Omega = (r_0 \leq r < r_1, 0 < \alpha < \alpha_1 < 2\pi, 0 < z < z_1)$,

სოლისებური ფილა $\Omega = (0 \leq r < r_1, 0 \leq \alpha < \alpha_1, 0 < z < z_1)$ და ა.შ., ხოლო თავად

ფილა ან ტრანსტროპული, ან სუსტად ტრანსტროპული მასალისაა. აღნიშნული ფილების $z = const$ ზედაპირზე შეიძლება სრულდებოდეს ოთხი ძირითადი სასაზღვრო პირობა. $r = const$ ზედაპირებზე $u = 0, S_{zr} = 0, B = 0,$

$D_r = 0, \frac{\partial T}{\partial r} = 0$ ან $v^k = 0, w^k = 0, \tilde{K}^k = 0, \phi^k = 0, T^k = 0$; $\alpha = const$ ზედაპირებზე

სიმეტრიის $v^k = 0, S_{zr}^k = 0, S_{z\alpha}^k = 0, D_r^k = 0, \frac{\partial T}{\partial \alpha} = 0$

ან $S_{\alpha z}^k = 0, u^k = 0, w^k = 0, T^k = 0, \phi^k = 0$ ანტიმეტრიის პირობებია მოცემული.

ამასთან u, v, w გადაადგილების ვექტორის კომპონენტებია, სათანადოდ r -ის, α -სადმი მხების და z -ის გასწვრივ. $N_r, N_\alpha, N_z, S_{r\alpha}, S_{rz}, S_{\alpha z}$ -

ნორმალური და მხები ძაბვებია; აღვნიშნოთ, რომ $r = const$ მოცემული

ზედაპირზე მოცემული პირობები ანალოგიურია, სათანადოდ, სიმეტრიის და ანტიმეტრიის პირობებისა.

ნაშრომში განხილული თერმოელექტროდრეკადობის თეორიის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანათა კლასისათვის მიღებული ზოგადი ამონახსნის და ცვლადთა განცალების მეთოდის გამოყენებით ზემოთ აღნიშნული ამოცანების ამოსახსნელად მივიღებთ წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემას საძიებელი კოეფიციენტებისათვის. კოეფიციენტების განსაზღვრის შემდეგ, გადაადგილების ვექტორის და ძაბვის ტენზორის კომპონენტები წარმოიდგინება ექსპონენციალურად კრებადი მწკრივების საშუალებით. მწკრივების შესაკრებები წარმოადგენენ ექსპონენციალური (z -ის მიმართ), ტრიგონომეტრიული (α - ის მიმართ) და ბესელის (r - ის მიმართ) ფუნქციების ნამრავლს.

დასკვნაში მოყვანილია ნაშრომის ძირითადი შედეგები.

თავი 1. მრუდწირულ კოორდინატთა სისტემაში პიეზოელემენტებისათვის ბაზური

მათემატიკური მოდელის აგება

1.1 ზოგადი მიმოხილვა

როული საინჟინრო ნაგებობების საიმედოობა და უსაფრთხოება, მშენებლობისას (რეკონსტრუქციის) და მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, შენობებისა და ნაგებობების სამშენებლო კონსტრუქციების საიმედო და უსაფრთხო მუშაობა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სწორი და დროული ტექნიკური დიაგნოსტიკით, სამშენებლო ობიექტების სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე კონტროლის თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით, რათა მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის რესურსი საიმედოდ იყოს გათვლილი.

ამ პრობლემიდან ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გამოსავალი სამშენებლო მონიტორინგის სისტემების დანერგვაა, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური გავლენის, ექსპლუატაციური და ბუნებრივ-ტექნოგენური ზემოქმედების შედეგად, შენობის ნგრევის შესაძლებლობის ადრეულ გამოვლენას. ასეთი სისტემების გამოყენება ასახავს პერიოდული კონტროლიდან, სამშენებლო უბნების, როული ავტომატური სისტემების გამოყენებით, მუდმივ მონიტორინგზე გადასვლის გლობალურ ტენდენციას. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა განპირობებულია, პირველ რიგში, საექსპლუატაციო დეფექტების ზრდის მაღალი ტემპებით. და, როგორც შედეგი, დეფექტის წარმოშობის მომენტიდან სრულ განადგურებამდე შედარებით მოკლე პერიოდით.

ამგვარად, მონიტორინგის მიზანია გრძელვადიანი პერიოდული კონტროლი დატვირთვების, ზემოქმედების, ძალების, გადაადგილებების, კონსტრუქციის დეფორმაციის, კვეთებში ძაბვების; კონსტრუქციის რეალური დამაბული-დეფორმირებული მდგომარეობის შედარება სამუშაო პროექტის გაანგარიშებებთან, ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შესაფასებლად და კრიტიკული და წინა საავარიო მდგომარეობის წინმსწრები გამოვლენა.

როგორც ვხედავთ, შენობების მშენებლობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნიკური საფუძველია კონტროლისა და დიაგნოსტიკის საშუალებების დანერგვა. შესრულებული სამეცნიერო კვლევების

და ტექნიკური გადაწყვეტილებების დონის შეფასება გვარწმუნებს, რომ დღევანდელ დღეს ახალი თაობის გამზომი სისტემები სამშენებლო ნაგებობების და კონსტრუქციების მრავალფუნქციური კონტროლის საიმედო ორგანიზების საშუალებას იძლევა.

კონტროლის მაღალი სიზუსტის მისაღწევად, სხვა გადამწოდებებისაგან ყველაზე მეტად, ეფექტურობით გამოირჩევა პიეზოკერამიკული გადამწოდებები.

კონსტრუქციების კვლევისთვის და მოწყობილობებში სტატიკური და სტაციონალური დაძაბული-დეფორმირებული მდგომარეობის შესასწავლად ფართოდ გამოიყენება წრფივი დრეკადი და თერმოელექტროდრეკადი სასრული ზომის სხეულის მოდელი.

თერმოელექტრულად აქტიური მასალა თანამედროვე პიეზოტექნიკის საფუძველს წარმოადგენს და სულ უფრო და უფრო გამოიყენება მიკრო და ნანოტექნოლოგიებში.

ამ მასალის სამრეწველო გამოყენება მოიცავს სხვადასხვა ტიპის პიეზოელექტრულ, პიროელექტრულ და სხვა სახის გადამწოდებებს როგორცაა ჰიდროაკუსტიკა, დონის კონტროლი, მოძრაობის პარამეტრები, შენობების დაცვა, მშენებლობის კონტროლი და ა.შ.

პიეზოელექტრული მოწყობილობების ფუნქციონირება, ასევე მათი კონსტრუირება წარმოშობს ამ მასალებისათვის თერმოელექტროდრეკადობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრის ამოცანას.

პიეზოელემენტების პრაქტიკული გამოყენების საკითხები მრავალნაირად იყო გამოკვლეული და ძირითადად პიეზოელექტრიკებში პროცესების გამოსაკვლევად გამარტივებულ მიდგომებს ეყრდნობოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თეორიული კვლევისა და შესწავლის პროცესში გამოჩნდა მჭიდრო კავშირი გამოყენებითი ინჟინრული ამოცანების ამოხსნასთან. ვითარდებოდა მათემატიკური მეთოდებიც პიეზოელემენტში პროცესების ანალიზისთვის, რომელიც დაფუძნებულია თერმოელექტროდრეკადობის თეორიის ძირითად დებულებებზე. დამუშავდა პიეზოელექტრული მასალისაგან დამზადებული ფირფიტების და გარსების ტექნიკური თეორიის სხვადასხვა ვარიანტები.

ამ მიმართულებით არსებული ეფექტური კვლევები შესაძლებელია არსებითად გაუმჯობესდეს დრეკადობის და თერმოელექტროდრეკადობის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანების ამოხსნების ახალი მეთოდების დამუშავების, და მათემატიკური მოდელების ახალი თანამედროვე მეთოდების გამოყენების შედეგად, ასევე ახალი პროგრამული კომპლექტების შექმნა და მათი დახმარებით რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება, რომელიც ცვლის ძვირადღირებულ ნატურალურ ექსპერიმენტებს.

პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნის მეთოდებს შორის სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების კლასიკურმა მეთოდმა და მასზე დაფუძნებულმა სასაზღვრო ელემენტების მეთოდის გამოყენებამ, კარგად გაართვა თავი დრეკადობის თეორიაში იზოტროპიული სხეულებისათვის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნისას. თუმცა უფრო რთული გარემოსათვის ფუნდამენტალური ამოხსნების მიღება გარკვეულ სიძნელეებს აწყდება. ამიტომ ამის გადასაღწევად საჭიროა ახალი, ალტერნატიული მეთოდების დამუშავება და წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

რეალური კონსტრუქციებისთვის სასაზღვრო ინტეგრალურ მეთოდთან ერთად გამოიყენება სასრულ ელემენტთა მეთოდი. ამჟამად უცხოეთში არსებობს მთელი რიგი ასეთი სასრული ელემენტების კომპლექსები, მაგრამ მათი სრული ლიცენზირებული ვერსია იმდენად ძვირია, რომ პრაქტიკულად მიუწვდომელია რიგითი მკვლევარებისათვის.

ამის გამო ასეთი კლასის ამოცანებისათვის ახალი მათემატიკური მოდელების აგება, მათი კვლევა წარმოადგენს საკმაოდ თანამედროვე და მნიშვნელოვან აქტუალურ ამოცანას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში.

ბოლო წლებში შეიმჩნევა სულ უფრო მზარდი ინტერესი ანიზოტროპული დრეკადი გარემოს მოდელების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა ფიზიკური ველების (მექანიკური, თერმული, ელექტრული, მაგნიტური და ა.შ.) ურთიერთ გავლენას ითვალისწინებენ.

ამ კვლევების ძლიერი მოტივაციაა არასტანდარტული თვისებების მქონე ახალი ხელოვნური მასალების შექმნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ

პიეზოელექტრული მასალები, რომლებიც თანამედროვე კონსტრუქციების და მოწყობილობების საფუძველს წარმოადგენენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიეზოელემენტში პროცესების ანალიზისთვის ფართოდ გამოიყენება თერმოელექტროდრეკადობის თეორიის მეთოდები. ამიტომ შეძლებისამებრ შევეცდებით განვიხილოთ დრეკადობის თეორიის, თერმოდრეკადობის და ელექტროდრეკადობის თეორიის განვითარების ძირითადი, ისტორიული ეტაპები, რადგან თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მიმართულებით ბოლო რვა ათეული წლის მანძილზე ყოველწლიურად საშუალოდ ათასი სამეცნიერო სტატია იბეჭდებოდა. ეს იმას მოწმობს, რომ თემატიკა დიდი პოპულარობით სარგებლობდა მექანიკოსების, მათემატიკოსების და ინჟინერ მკვლევარებს შორის. ამიტომ ცხადია, რომ შევეხებით მხოლოდ არსებით ნიშან-სვეტებს, რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს ამ თემატიკის განვითარებაში.

XIX საუკუნის 20- 40-იან წლებში ბრწყინვალე მეცნიერთა (ნავიე, კოში, პუასონი, ლამე, გრინი და სხვ.) თაობის ძალისხმევით თითქმის დასრულდა წრფივი დრეკადობის თეორია, როგორც მყარ სხეულში მექანიკური ბუნების გარე ძალების მიერ წარმოშობილი ძაბვებისა და დეფორმაციები ველის მათემატიკური მოდელი.

1822 წელს ჟან ბატისტ ფურიე აქვეყნებს ნაშრომს „სითბოს ანალიზური თეორია“ [1], რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათემატიკის განვითარების ისტორიაში. ნაშრომში ფურიემ გამოიყვანა სითბოგამტარობის განტოლება და განავითარა განტოლების ამოხსნის იდეა ცვლადთა განცალების მეთოდით. ამ მეთოდმა განვითარება მიიღო ს. პუასონის, მ.ვ. ოსტროგრადსკის და სხვათა შრომებში. ცვლადთა განცალების მეთოდს ანუ ფურიეს მეთოდს ჩვენ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. 1852 წელს გაბრიელ ლამეს ავტორობით დაიბეჭდა პირველ კურსი დრეკადობის თეორიაში [2].

XX საუკუნის 30-იანი წლებისთვის დრეკადობის თეორიამ თითქმის უკვე დასრულებული სახე მიიღო. ამავე საუკუნის 50-იანი წლებისთვის დრეკადობის ბრტყელი თეორია, ნ. მუსხელიშვილის ბრწყინვალე შრომების შედეგად, რომელიც თავმოყრილია მის მონოგრაფიაში [3], დასრულებულ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა. ამჟამად, მრავალი მექანიკოსის, მათემატიკოსის და ინჟინერ

მკვლევარების მეოხობით დრეკადობის თეორია იზოტროპული გარემოსთვის მთლიანად და ყოველმხრივად დამუშავებული [4]- [14].

ბოლო დროს თერმოდრეკადობის თეორია მნიშვნელოვნად განვითარდა, იმ პრობლემების გამო, რომლებიც წარმოიშვა ახალი ორთქლისა და გაზის ტურბინების, რეაქტიული და სარაკეტო ძრავების, მაღალსიჩქარიანი თვითმფრინავების, ბირთვული რეაქტორების და სხვა ახალი კონსტრუქციების დამუშავებისას. ზოგადად, ამ კონსტრუქციის ელემენტები მუშაობენ არასტაციონალური, არათანაბარ სითბურ პირობებში. ამ დროს იცვლება მასალის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და წარმოიქმნება ტემპერატურული გრადიენტები, რომელსაც თან ახლავს ელემენტების ნაწილების არათანაბარი ტემპერატურული გათბობა.

თერმოდრეკადობის თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ინგლისელმა ფიზიკოსმა დუჰამელმა 1832 წელს ტემპერატურული გრადიენტის გათვალისწინებით მიიღო დრეკადი სხეულის დეფორმაციის განტოლება [15]. ცოტა მოგვიანებით, 1841 წელს იგივე შედეგი მიიღო ნეიმანმა [16]. დუჰამელი-ნეიმანის თეორია დაფუძნებულია მექანიკური და სითბური ეფექტების ურთიერთ დამოუკიდებლობაზე. მათი თეორიით სრული დეფორმაცია დრეკადი დეფორმაციის და სითბური დეფორმაციის ჯამის ტოლია.

ზოგად შემთხვევაში არათანაბარი თერმული გაფართოება უწყვეტ სხეულში თავისუფალად არ შეიძლება მოხდეს. ის იწვევს სითბურ (თერმული, ტემპერატურული) ძაბვებს. სითბური ძაბვის სიდიდისა და მოქმედების ხასიათის ცოდნა კი აუცილებელი პირობაა კონსტრუქციის სიმტკიცის ყოვლისმომცველი ანალიზის დროს.

თერმულმა ძაბვებმა, გარე ძალების მოქმედებით გამოწვეულ მექანიკურ ძაბვებთან ერთად შეიძლება გამოიწვიოს მყიფე მასალისაგან დამზადებულ კონსტრუქციებში ბზარების გაჩენა და კონსტრუქციის მსხვრევა, არასტაციონალური ტემპერატურული ველის მოქმედებით, მკვეთრად წარმოქმნილი თერმული ძაბვების მოქმედებით ზოგიერთი მასალა ხდება მყიფე და ვერ უძლებს თერმულ დარტყმას. თერმული ძაბვების განმეორებითი მოქმედებისას კი თერმული დაღლილობის შედეგად ხდება კონსტრუქციის ელემენტის რღვევა.

ასევე თერმული ძაბვების მოქმედებამ შეიძლება გაჩნდეს მნიშვნელოვანი პლასტიკური დეფორმაციები, რამაც შეიძლება კონსტრუქციის სრული ან პროგრესირებადი რღვევა გამოიწვიოს. და ა.შ.

თერმოდრეკადობასთან კვლევები თავიდანვე დაკავშირებული იყო კონსტრუქციის ელემენტებში თერმოდაბვების ამოცანებთან. მათი ამოხსნა ხდებოდა დუჰამელი - ნეიმანის მიერ დამუშავებული თეორიის გამოყენებით. ამ თეორიის თანახმად, მთლიანი დეფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იქნას ორი შესაკრების ჯამის სახით: პირველი არის დრეკადი დეფორმაციები გამოსახული ჩველულებრივი დამოკიდებულებებით ძაბვებთან და მეორე – თბოგამტარობის კლასიკური თეორიიდან ცნობილი წმინდა სითბური გაფართოება.

არასტაციონალური სითბური და მექანიკური ზემოქმედებებისთვის დუჰამელი-ნეიმანის თეორია შეზღუდული თეორია, რადგან არ იძლევა იმის საშუალებას რომ მკაცრად აღიწეროს დრეკადი სხეულის მოძრაობა, რომელიც დაკავშირებულია მის თერმულ მდგომარეობასთან. გარკვეულ პირობებში არასტაციონალურ თბურ მდგომარეობას კონსტრუქციაში თან ახლავს დინამიკური ეფექტები.

ლორდ კელვინი (ტომსონი) [17] იყო პირველი (1855 წელი), რომელმაც გამოიყენა თერმოდინამიკის ძირითადი კანონები დრეკადი სხეულის თვისებების შესასწავლად. მისმა მიმდევარმა მკველვარებმა ლ.დ. ლანდაუ და ე.მ. ლიფშიცმა (1953) [18] და სხვებმა კლასიკური თერმოდინამიკის მეთოდებისა გამოყენებით მიიღეს თერმოდრეკადობის განტოლებები. თუმცა კლასიკური თერმოდინამიკის ფარგლებში, მკაცრი ანალიზი სამართლიანია მხოლოდ დეფორმაციის იზოთერმული და ადიბატიური შექცევადი პროცესებისათვის. დეფორმაციის რეალური პროცესი, რომელიც უწყვეტად დაკავშირებულია სითბოს გამტარობის შეუქცევად პროცესთან ზოგადად შეუქცევადია. ბოლო წლებში თერმოდინამიკის შეუქცევადი პროცესების შემუშავებამ მკაცრად დააყენა საკითხი ზოგად შემთხვევაში შეუქცევადი დეფორმაციის მექანიკური და თერმული პროცესების ერთიანი ინტერპრეტაციის შესახებ, რაც აისახა ბიოს (1956)[19], ჩედვიკის (1960)[20], ბოლი და უეინერის (1960) [21] და სხვათა ნაშრომებში. მათ მკაფიოდ განსაზღვრეს თერმოდრეკადობის თეორია, სადაც კლასიკური დრეკადობის თეორია და სითბოს გამტარობის თეორია დაკავშირეს. ისინი მოიცავენ შემდეგ

მოვლენებს: სხეულში სითბოს გადატანა, სხეულსა და გარემოს შორის არასტაციონალურ და სტაციონალურ სითბოს გაცვლის დროს, ტემპერატურის გრადიენტებით გამოწვეულია სითბურ ძაბვებს, გათბობის არასტაციონალური პროცესის დროს წარმოსობილ დინამიკური ეფექტებს. კერძოდ, თხელკედლიანი კონსტრუქციების თერმოდრეკადი რხევები თერმული დარტყმის დროს, რომელიც გამოწვეულია დეფორმაციის თერმომექანიკური და ტემპერატურული ველების ურთიერთქმედებით.

თერმომექანიკის მათემატიკურ მოდელებში უწყვეტ გარემოში სითბოს გავრცელების სხვადასხვა მეთოდს განიხილავენ. მიღებულია, რომ სითბოს გავრცელება შეიძლება ხდებოდეს სითბოს გამტარიანობის ხარჯზე. (სითბოს გადაცემა ხდება თავად ნივთიერების ხარჯზე), კონვექცია (სითბოს გადაცემა ხდება გამთბარი სხეულის ნაწილაკების ფარდობითი მოძრაობით) და გამოსხივება (სითბოს გადატანა ხდება ელექტრომაგნიტური გამოსხივებისას). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბოგამტარობის მათემატიკური მოდელი პირველად შემუშავებული იყო XIX საუკუნეში ს. დუჰამელის და გ. ლამეს ნაშრომებში. თერმოგამტარობის მეთოდები განხილულია ა.ბ. ლიკოვის [22] გ. კარსლოუ, დ. ეგერის [23] ნაშრომებში. სხეულში განაწილებული და წერტილოვანი წყაროების არსებობისას, სითბო თბოგამტარობის მეშვეობით ვრცელდება. სითბოს გავრცელებას ყოველთვის თან ახლავს სხეულში დეფორმაციების, ძაბვების, და შესაძლებელია ელექტრომაგნიტური ველის გაჩენა. სხეულის დამაბულ-დეფორმირებული გამოკვლევა დეფორმაციების, ძაბვების და ტემპერატურის, აგრეთვე ელექტრომაგნიტური ველის გათვალისწინებით, თერმომექანიკის თანამედროვე მოდელების საფუძველს წარმოადგენს. დამუშავებულია ამ ამოცანების გადაწყვეტის მათემატიკური მოდელები. მოკლედ შევჩერდებით ზოგიერთ ამ მოდელსა და მეთოდებზე.

როგორც უკვე ვთქვით, პირველად ტომსონმა გამოიყენა თერმოდინამიკის ზოგადი კანონები სხეულის თერმოდრეკადობის თვისებების შესასწავლად და შემდეგ განავითარეს ნ.ნ. შილერმა [24], თ.ა. კარატეოდორმა [25], აფანასიევა-ერენფესტის [26] და სხვებმა თავიანთ ნაშრომებში. ამ შემთხვევაში მიღებული მოდელი იყო დინამიკური და ბმული, რადგან თბოგამტარობის განტოლებებში და მოძრაობის განტოლებებში გათვალისწინებული იყო სითბური დეფორმაციის

და ინერციული წევრები. ბმული თერმოდრეკადობის თეორიის ამოცანებს ამოხსნის ირგვლივ მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული. მათ შორის აღვნიშნავთ ვ.ნოვაცკი [27], ვ.გ.კარნაუხოვა [28], ო.პ. ერვინიკო, ი.კ. სენჩენკოვა, ე.ვ. დოლი [29], ლ.ა. ფილშტინკი, ი.ვ. სირენკო [30], შ. ზაზაშვილის [31], ნ. კახნიაშვილის [32], [33] და სხვანი.

სხეულის თერმოდრეკადი მდგომარეობა არის განაწილებული ტემპერატურული ველების შედეგი. ასეთი ამოცანის ზოგადი ამოხსნა პრაქტიკულად მოსახერხებელ ფორმაში წარმოდგენილია პ.ფ. პაპკოვიჩის [34], [35] ნაშრომებში. ამასთან ვექტორის გადააგილების ერთგვაროვანი განტოლებების ამოხსნა მოიცავს ვექტორს და სკალარს, რომლიც ნებისმიერია, ხოლო ზოგადი ამოხსნა შეესაბამება არაერთგვაროვან განტოლებას. იზოტროპული სხეულებისათვის არაბმული თერმოდრეკადობის ამოცანების განხილვა პირველად დაიწყო ნ.ნ. ლებედევმა [36], ხოლო ანიზოტროპული სხეულისათვის კი ი.ა. პრუსოვმა [37], ა. ი. უზდალენოვმა [38].

თერმოდრეკადობის წრფივ თეორიაშია მიღებულია რომ მაქსიმალური ტემპერატურული ცვლილება მცირეა საწყისი აბსოლუტურული ტემპერატურის მიმართ. მაღალი ტემპერატურის დროს მცირე დეფორმაციის დროს მივყავართ იქამდე, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს თერმოდრეკადობის განტოლებებში არაწრფივი ელემენტები, რომლებიც დამოკიდებული არიან ტემპერატურით გამოწვეულ სხეულის სითბურ და დრეკად თვისებებზე.

მცირე დეფორმაციის დროს აგებულია თბოგამტარობისა და თერმოდრეკადობის თეორიების მოდელები, რომლებიც ითვალისწინებენ მასალის სითბურ და დრეკადობის თვისებების ტემპერატურაზე დამოკიდებულებას განსაკუთრებით თბოგამტარობის და თერმოდრეკადობის თეორია ფართოდ განვითარდა ბზარებით და ხვრეტებით შესუსტებული იზოტროპული ფილებისა და გარსებისათვის. ასეთი ამოცანების ამოხსნისათვის გამოიყენებოდა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა მეთოდი, სინგულარული ინტეგრალური განტოლებები, გრინის ფუნქციები, მცირე პარამეტრების მეთოდი, ინტეგრალური გარდაქმნები, ასიმპტომური მეთოდები, სასრული ელემენტების მეთოდები. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მოსახერხებელი მეთოდია კომპლექსურ პოტენციალთა მეთოდები.

გაფართოებული კვლევები სხეულის თერმოდრეკადი მდგომარეობის შესახებ ჩატარებული იყო ანიზოტროპიული ფირფიტებისათვის, თხელკედლიანი ფილებისა და გარსებისათვის. ეყრდნობოდა რა სხვა გამოკვლევებს ა.ი. უზდალოვმა [39] თბოგამტარობისა და თერმოდინამიკის ბრტყელი ამოცანების ამოსახსნელად შემოიტანა თერმოდრეკადობის განზოგადოებული კომპლექსური პოტენციალი, რომელიც იძლეოდა საშუალებას ამოხსნილი იყოს სხვადასხვა ამოცანები ცალადბმული არეებისთვის. მრავალდბმული ფირფიტებისთვის თერმოდრეკადობის ამოცანების ამოხსნის მეთოდი შემოთავაზებული იყო ს.ა კალოეროვის, ს.ა.კოსმოდემიანსკაის [40] მიერ; მათ მიერ გადაწყვეტილი იყო ამოცანები, როდესაც ხვრეტის კონტურზე მოცემული იყო ტემპერატურის მნიშვნელობა, ხოლო შიგა წერტილებში მოქმედებს სითბოს შეყურსული წყაროები.

ინტეგრალური გარდაქმნების მეთოდების გამოყენებით რ.მ. კუმნერის, ტ.მ. ნიკოლშინის [41], ვ.ა. ოსადჩუკის, ვ.კ.შევჩენკოს, ა.ს. გოლცევის [42] ნაშრომებში ამოხსნილია თერმოდრეკადობის ამოცანები ორთოტროპული გარსებისა და ფილებისათვის.

მრავალი შრომა მიეძღვნა მრავალფენიანი სხეულისათვის თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო - საკონტაქტო ამოცანებს. აქ უნდა აღინიშნოს ა.ა. ილუშინის, ბ.ე. პობედრიას [43], ვ.გ. კარნაუხოვას, ი.კ. სენჩენკოვას, ბ.პ. გუმენიუკის [44], ვ.გ. კარნაუხოვას, ი.ფ. კირიჩოკოს [45], ი.ნ. შევჩენკოს, ი.გ. სავჩენკოს [46] შრომები. თერმოდრეკადობის ამოცანების გამოთვლების თეორია და მეთოდები განხილულია ი.ნ.შევჩენკოს [47-49], ნაშრომებში.

სხეულის თერმოდრეკადობის მდგომარეობის კვლევები, აგრეთვე ორგანზომილებიანი და ბრტყელი ამოცანები. დღესდღეობით სრულად არის დამუშავებული თერმოგამტარობის და თერმოდრეკადობის ამოცანები იზოტროპული და ანიზოტროპული გარემოსათვის. ამ მიდგომასა და ამოხსნას ეძღვნება მთელი რიგი მონოგრაფიები, როგორცაა გ.ს.კიტის, მ.გ. კრივცუნოვის [50], ა.დ. კოვალენკოს [51], ა.ს. კოსმოდემიანსკის, ს.ა.კალოეროვას [52], ნ.ნ. ლებედევას [53], ი.ა.პრუსოვის [54], გ.ნ. სავინის [55] ა.ი.უზდალევის [56], და სხვათა. ამ მეთოდების გამოყენებით ამოხსნილია მთელი რიგი ცალადბმული და მრავალდბმული გარემოსათვის.

ს.ა. კალოეროვას, ი.ს. ანტონოვის [57],[58] ნაშრომებში მოცემულია თერმოდრეკადობისა და თერმოგამტარობის ამოცანები, რომლებიც ამოხსნილია სასრულ და უსასრულო მრავალფენიანი ანიზოტროპული ნახვრეტიანი და ბზარებიანი ფირფიტებისათვის. ამოხსნა აგებულია კომპლექსური ცვლადი ფუნქციისა და სასაზღვრო უმცირესი კვადრატის მეთოდის საშუალებით.

დრეკადობის და თერმოდრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი მათემატიკური ამოცანები განხილულია ვ. კუპრადის, თ.გეგელიას, მ. ბაშელიევიშვილის, თ. ბურჭულაძის [59] მონოგრაფია ვრცელი ლიტერატურული წყაროთი. თერმოდრეკადობის სამგანზომილებიანი ამოცანები განზოგადებულ ცილინდრულ კოორდინატებში ტრანსვერსალურად-იზოტროპიული სხეულებისათვის ამოხსნილი აქვს ნ.ხომასურიძეს [60]-[65].

ელექტროდრეკადობა. ელექტროდრეკადობა არის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეცნიერული მიმართულება, რომელიც შეისწავლის კვლევების პრობლემებს, რომელიც არის მეცნიერების ორი კლასიკური მიმართულების შერწყმა: მყარი დეფორმირებული სხეულის მექანიკისა და უწყვეტ გარემოში ელექტროსტატიკის. თვითონ ტერმინი ელექტროდრეკადობა შედარებით ცოტა ხნის წინ გამოჩნდა (1960-იან წლებში), ძირითადად ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება მყარი დეფორმადი სხეულის მექანიკაში. ფიზიკოსებს შორის უფრო გავრცელებულია ტერმინი პიეზოელექტროობა.

პიეზოეფექტის აღმოჩენის მოკლე ისტორია. პიეზოელექტრული ეფექტი აღმოჩენილი იყო ძმები პიერ და ჟაკ კიურების მიერ 1880 წელს. მათ აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი დიალექტრიკების კრისტალები (მარილის, კვარცის და სხვა) მექანიკურ მოქმედების იკუმშება, რის შედეგადაც მათ ზედაპირებზე ჩნდება საპირისპირო ნიშნების მქონე ელექტრული მუხტები, ან როგორც ამბობენ, კრისტალში ხდება ინდუქციური პოლარიზაცია, რომელიც ქმნის კრისტალში გარე და შიგა ელექტრულ ველებს. ეს მოვლენა - ელექტრული ველის აღმოცენებას ზეწოლის შედეგად ეწოდა პიეზოელექტრული ეფექტი.

ისმის ასეთი კითხვა იყო: თუ არა ეს აღმოჩენა შემთხვევითი, თუ მას წინ უძღოდა რაიმე მეცნიერული ჰიპოთეზა? მყარი კრისტალური სტრუქტურის მქონე დიალექტრიკის ელექტრონული თვისებების შესწავლისას პიერ კიურიმ ჩამოაყალიბა ზოგადი პრინციპი, რომელსაც კიურის პრინციპს უწოდებენ. ამ

პრინციპის აზრი მდგომარეობს შემდეგში: მოვლენას აქვს სიმეტრიის ყველა ნიშანი, რომელიც აღმოცენდა მათი გამომწვევი მიზეზების გამო. მოვლენის ასიმეტრია წინასწარ განსაზღვრულია გამომწვევი ასიმეტრიით. ვინაიდან საპირისპირო ნიშნის მქონე იონები განლაგებულია კრისტალის უჯრედის წვეროებზე. ნებისმიერი ფორმის კრისტალის მთლიანი მუხტის ჯამი ნულის ტოლია. თუმცა, თუ დადებითი და უარყოფითი მუხტების ცენტრები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ კრისტალის დიპოლარული მომენტი არ არის ნულის ტოლი და მას გააჩნია პოლარიზაცია. თუ კრისტალის დიპოლური მომენტი დეფორმირებულ მდგომარეობაში ნულის ტოლია, მაშინ მექანიკური მოქმედების შედეგად დადებითი და უარყოფითი იონებს შეუძლიათ გადაადგილება ერთმანეთთან მიმართებაში და კრისტალების ზედაპირებზე ჩნდება საპირისპირო ნიშნის მქონე მუხტები. ასეთი გადაადგილების შესაძლებლობა დამოკიდებულია კრისტალის სიმეტრიაზე (ფორმაზე).

დრეკადობისა და ელექტროდრეკადობის თეორიის ძირითადი ცნებები და კავშირები. XIX საუკუნის 20-40 -იან წლებში ბრწყინვალე მეცნიერთა თაობის (ნავიე, კოში, პუასონი, გრინი და სხვ.) ძალისხმევით დასრულდა დრეკადობის წრფივი თეორიის მათემატიკური მოდელის აგება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელმა მეცნიერმა მაქსველმა [66] მიიღო ელექტროდინამიკის განტოლებები, რომლებიც აღწერს ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებას და მიიღო წრფივი ელექტროდრეკადი დიფერენციალური განტოლებების ჩაკეტილი სისტემა. ამავე დროს აშკარა ხდება ამ ურთიერთობით ტერმინი ელექტროდრეკადობის მნიშვნელობა. სხეულის ზედაპირზე არსებული პირობებით (სასაზღვრო პირობები) და მოცემული პირობებით რომლებიც განსაზღვრავენ სხეულის მდგომარეობას ფიქსირებულ დროში t_0 (საწყისი პირობებით) ამ განტოლებების დამატებით მივდივართ საწყის სასაზღვრო ამოცანებთან, რომლებიც წარმოადგენენ ერთ-ერთ მათემატიკური მოდელირებას ელექტროდრეკადობის სფეროში.

პიეზოკერამიკა. პიზოელექტრული ეფექტის პირველი ტექნიკური გამოყენება განხორციელდა ლანჟევინის მიერ. 1920 წელს მან შექმნა ულტრაბგერითი გადამწოდებები წყალში ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისათვის და

წარმოადგენენ თანამედროვე ულტრაბგერით გამოსხივების პირველსახეობას. გამოიყენება წყალქვეშა ნავების, თევზის გუნდის აღმოსაჩენად და სხვა.

